ხელშეკრულება #11

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი

6 მაისი 2014 წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში;
1.2 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.3 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;
1.4 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში _ "შემსყიდველი") _ ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც თან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **სსიპ სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრი,** წარმოდგენილი დირექტორის **ზოია ხასია** სახით (შემდგომში - "შემსყიდველი")

და

მეორე მხრივ, **ფ.პ. კირა ჩოხური** (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თარჯიმანის მომსახურეობის (CPV კოდი 79540000) შესყიდვა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს.

5. მომსახურეობის, სახეობა და მიწოდების პირობები

"მიმწოდებელი" უზრუნველყოფს - სასწავლო ცენტრი მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე თარჯიმნის მომსახურების გაწევას ქართულ-ინგლისურ ინგლისურ-ქართულ ენაზე 6 მაისს 12 საათიდან 13 საათის ჩათვლით ჯი-ემ-თი სასტუმროში, მისამართზე: თბილისი,თავისუფლების მოედანი N4

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში; შესყიდვა განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის **2014 წლის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გერმანული ფონდი IRZ – საგრანტო დაფინანსებიდან.**
6.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
6.3 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 "შემსყიდველი" გაწეული მომსახურეობის თაობაზე „მიმწოდებელთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს;
7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა;

8. ინსპექტირების პირობები

8.1. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურეობის ხარისხის კონტროლი;

8.2. საჭიროების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით და სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

8.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

"მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე "შემსყიდველის" მხრიდან კონტროლს განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის – **დირექტორის მოადგილე ავთანდილ მიქანაძე.**

10. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

"მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი მომსახურების მიწოდებას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება "შემსყიდველს".

11. მხარეთა უფლებები

11.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

1.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა;

11.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

11.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონელის მიწოდება;

11.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

12. მხარეთა ვალდებულებები

12.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

12.1.1. დადგენილ ვადაში „შემსყიდველისათვის" 5.1 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს საქონლის მიწოდება;

12.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

12.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

12.2.1. უზრუნველყოს `მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა 6.4. მუხლის შესაბამისად;

12.2.2. დროულად განიხილოს `მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული "შემსყიდველის" და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

14.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით;

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

16.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

16.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

16.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

16.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია;

20.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან''.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი''
ს/კ 204 493 262
მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრი ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა 200 122 900

„მიმწოდებელი"

ფ.პ. კირა ჩოხური
პირადი ნოემრი 01008013938
მისამართი:ქ.თბილისი,ჭავჭავაძის გამზ.11,ბინა N19
სს. ''ბანკი რესპუბლიკა''
REPLGE22
ა/აGE35BR 00 0000 3608 0846 36

ზოია ხასია
დირექტორი

კირა ჩოხური

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. რუსთავი

6 მაისი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ თარჯიმანის მომსახურეობის (CPV კოდი 79540000) შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზოია ხასია
დირექტორი

კირა ჩოხური